განმარტებითი ბარათი

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის - ქვე-პროგრამა 2"-ის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) პროექტზე

2014 წელს აზიის განვითარების ბანკთან (ADB) გამართული კონსულტაციების შედეგად საქართველოსათვის „შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის" ADB-ის მიერ განსაზღვრულ იქნა დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი სესხის გამოყოფა. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს სამ წლიან პროგრამას და მის ფარგლებში 2014 წელს ADB-სა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, პირველი ქვე-პროგრამის ფარგლებში ჩამოირიცხა (16.12.2014) 73.5 მლნ აშშ დოლარი, რომელიც მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში.

მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამის მეორე ქვე-პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკი საქართველოს გამოუყოფს ჯამში 75 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტს ევროსა და SDR-ში, აქედან დაახლოებით 38 მლნ SDR (53 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი) ADF (Asian Development Fund) პირობებით. პროგრამის ძირითადი მიზანია სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდის მიზნით შიდა რესურსების ეფექტური მობილიზება და პროგრამის ფარგლებში მიღებული თანხა სრულად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ADB-ის რეგულაციების შესაბამისად ADF-ის ფარგლებში გამოყოფილი სესხის ფინანსური პირობებია:

სესხის ოდენობა: დაახლოებით 38 მლნ SDR
სესხის ვალუტა: SDR
სესხის ხანგრძლივობა - 25 წელი
შეღავათიანი პერიოდი - 5 წელი
საპროცენტო განაკვეთი - წლიური 2%

ADF-ის სესხი დენომინირებულია SDR-ში, თუმცა შესაძლებელია ჩამორიცხვის და გადახდის ვალუტების შერჩევა (SDR-ში შემავალი ნებისმიერი ვალუტა).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის #2025 განკარგულების და საქართველოს პრემიერ-მინისტრის #394 ბრძანების შესაბამისად, 2015 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (სპეციალური ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისთვის - ქვე - პროგრამა 2)" სასესხო ხელშეკრულებას.